ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება # 25

06 ივლისი 2015 წელი

56-00

დ.ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ **(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 16/07/2014).**

1.დადგენილებით დამტკიცებული #1 დანართის 108 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1 საკრებულოს ნორმატიული აქტის პროექტი ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე WWW.kharagauli.ge და ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრის"მიერ საკრებულოს აპარატში მისი რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში თუ ამ რეგლამენტით უფრო მოკლე ვადა არ არის დადგენილი".

2.დადგენილებით დამტკიცებული #1 დანართის 108 მუხლის მე- 4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,4. საკრებულოს ნორმატიული აქტი - საკრებულოს დადგენილება ქვეყნდება ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), ხოლო „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნების შემდეგ, ასევე, მიუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.kharagauli.ge), და **ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის"მიერ**

3.დადგენილებით დამტკიცებული #1 დანართის 108 მუხლის მე- 5 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,5. საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – საკრებულოს განკარგულება და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება, აგრეთვე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს კომისიების ორგანიზაციულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე WWW. kharagauli.ge **და ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" მიერ** საკრებულოს აპარატში მისი რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში თუ ამ რეგლამენტით უფრო მოკლე ვადა არ არის დადგენილი."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე